შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.713)

26-30 დეკემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა



გვ.2

„თანამდებობები არის დროებითი, მარადიული არის უფალი და სამშობლო...“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ხელისუფლებაში ყოფნა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ჩემთვის ეს არის საშუალება იმის, რომ ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ჩვენს ძვირფას ხალხს. ეს არის ჩემი პოლიტიკური მრწამსი, ასეთი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება დაიწყო ჩვენმა გუნდმა. ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ახალგაზრდა დემოკრატია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა მაგალითს დავუტოვებთ ჩვენს შვილებს, რა მაგალითს მივცემთ ჩვენს მომავალ თაობას.“

გვ.3

ირაკლი შიოლაშვილი: „ცენტრალური ხელისუფლების მიზანმიმართულმა სტრატეგიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მისცა საშუალება 2015 წელი დადებითი მუხტით ყოფილიყო დატვირთული და გაგვეტარებინა ის ღონისძიებები, რამაც რეგიონის ეკონომიკურ, კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ქმედითობა და პერსპექტიულობა დაგვანახა.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „2015 წელი ხალხზე ზრუნვის წლად შეიძლება შეფასდეს. განხორციელდა ბევრი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტი, რომელმაც პირველ რიგში მოსახლეობაზე ჰპოვა დადებითი ასახვა.“

ზვიად ჯავახიშვილი: „მთავარია, რომ ჩვენი გუნდის შრომის შედეგი თქვენ, თითოეულმა ჩვენმა თანამოქალაქემ იგრძნოთ. ვიცით, რომ კიდევ ბევრი უნდა გავაკეთოთ ჩვენი რაიონის კეთილდღეობისათვის, ამისათვის კი შრომასა და მონდომებას არ დავაკლებთ. წინსვლისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას ადგილობრივი ხელისუფლება მომავალშიც გააგრძელებს.“

წლის ანგარიში

ჩვენი საზრუნავი მომავალი თაობაა

გვ.2

გასული წელი კულტურისთვის ნაყოფიერი იყო...

გვ.6

ჩვენ გვჯერა ჩვენი შვილების...

გვ.5

გვ.8

ვიზალიბერალიზაცია

და

საქართველო

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2016 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

თანამდებობები არის დროებითი, მარადიული არის უფალი და სამშობლო...

თანამდებობები არის დროებითი, მარადიული არის უფალი და სამშობლო, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში, სადაც მან თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა.

„გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემთვის თანამდებობა, იქნებოდა ეს შინაგან საქმეთა მინისტრობა თუ პრემიერ-მინისტრობა, ან ზოგადად ხელისუფლებაში ყოფნა, არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ჩემთვის ეს არის საშუალება იმის, რომ ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ჩვენს ძვირფას ხალხს. ეს არის ჩემი პოლიტიკური მრწამსი, ასეთი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება დაიწყო ჩვენმა გუნდმა. ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ახალგაზრდა დემოკრატია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა მაგალითს დავუტოვებთ ჩვენს შვილებს, რა მაგალითს მივცემთ ჩვენს მომავალ თაობას. თანამდებობები არის დროებითი, მარადიული არის უფალი და სამშობლო, ამიტომ დღეს მივიღე გადაწყვეტილება დავტოვო თანამდებობა, ახლა, როდესაც გამყარებულია ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მიმართულებები, მე მინდა ვუსურვო წარმატება ჩვენს მომავალ პრემიერ-მინისტრს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კონსტიტუციის მიხედვით, პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა, მთავრობის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს. საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე, მთავრობის იმავე შემადგენლობას დააკისრა მოვალეობის შესრულება.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, მისთვის ცნობილი იყო, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებაზე ფიქრობდა, თუმცა ზუსტად არ იცოდა როდის მოხდებოდა ეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში მოვალეობის შემსრულებელი მთავრობა თვეების განმავლობაში მართავს ქვეყანას. „კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ხელისუფლება არ არის სკამებს ჩაბღაუჭებული“, - ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თანამდებობის დატოვებას. მისი განცხადებით, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატურა გიორგი კვირიკაშვილია. საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის თქმით, პრემიერმა ჩათვალა, რომ პირველი რიგის ამოცანები შესრულებულია და ახლა ახალი სისხლი, ახალი ადამიანი სჭირდება ქვეყანას.

საპარლამენტო უმრავლესობამ საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასანიშნად გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა უკვე წარუდგინა. ამის შესახებ 25 დეკემბერს საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე გახდა ცნობილი.

„გიორგი კვირიკაშვილი საპარლამენტო უმრავლესობამ ოფიციალურად გამოაცხადა ჩვენს საერთო კოალიციურ კანდიდატად. საპარლამენტო უმრავლესობა მას უცხადებს სრულ ნდობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს დღეებში ძალიან დიდი შრომა იქნება გაწეული იმისთვის, რომ ჩვენ დავასრულოთ ეს პროცესი და ახალ წლამდე საქართველოს ჰყავდეს ახალი მთავრობა. “ - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილი ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელია.

საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს. 1984 წელს დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი. 1990-1995 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1997-1998 წლებში კი აშშ-ში, ილინოისის უნივერსიტეტში. მიღებული აქვს ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2012 წლის 25 ოქტომბერს გიორგი კვირიკაშვილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დაინიშნა. ამ პოსტს იგი მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე იკავებდა. შემდეგ კი გადაყვანილი იქნა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

ჩვენი საზრუნავი ჩვენი მომავალი თაობაა

მიილია 2015 წელი. დადგა დრო, თვალი გადავავლოთ და გავიხსენოთ რა გაკეთდა და რა დარჩა გასაკეთებელი, რა იგეგმება მომავალ წელს. ამ საკითხებში გასარკვევად ჩვენ, ამჯერად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის მიერ განეულ სამუშაოებს გაგაცნობთ. ჩვენი სტუმარია ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი. *შეგახსენებთ, რომ ქალბატონი მაია გახლავთ პედაგოგი, მან დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამ სფეროში მუშაობის სულ რაღაც ექვსიოდე წელი აქვს, მაგრამ, წინასწარ გეტყვით, ის შესანიშნავად უძღვება თავის საქმეს და ერთ-ერთი წარმატებული ხელმძღვანელია. უფრო დაწვრილებით კი ქვემოთ ვისაუბრებთ:*

- ქალბატონო მაია, გაზეთ „შირაქის“ რედაქციასთან თქვენ აქტიურად თანამშრომლობთ. ჩვენი ჟურნალისტები ხშირად ესწრებიან თქვენს ღონისძიებებს და აშუქებენ კიდეც. ამრიგად, მკითხველს წარმოდგენა აქვს თქვენს სფეროში მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ დღეს შევაჯამოთ თვენი საქმიანობა გასულ წელს და ცოტა მომავალსაც შევეხოთ.

- სიამოვნებით.

- გვითხარით, თქვენს ცენტრში გაერთიანებული დაწესებულებების შესახებ.

- ცენტრში გაერთიანებულია 17 საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი და ერთი სკოლისგარეშე დაწესებულება მოსწავლე-ახალგაზრდების სახლის სახით.

- რამდენ ბავშვს ემსახურებით?

- მოგეხსენებათ, უკვე სამი წელია, სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელთა მშობლები გათავისუფლდნენ გადასახადისგან, რამაც ხელი შეუწყო ბავშვთა რაოდენობის ზრდას. 2015 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენდა 898. ქ. დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღში რიცხული აღსაზრდელებიდან ორი ბავშვი საჭიროებდა სპეციალურ პედაგოგს . ამის გათვასლისწინებით იანვრიდანვე აქ დაინერგა და მუშაობს სსსმ ბავშვებისათვის შექმნილი პროგრამა სპეციალური პედაგოგის ზედამხედველობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები (სსსმ) მკაცრად სეგრეგირეულები იყვნენ საზოგადოებისაგან არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში თანატოლებთან ერთად. ინკლზიური სწავლების დანერგვამ ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას.

- როგორი იყო თქვენი ფინანსური მდგომარეობა?

- 2015 წლისათვის 2014 წლის დეკემბერში ცენტრს დაუმტკიცდა 910 000 ლარი, შემდეგ გადაუდებელი და აუცილებლად საჭირო ხარჯების გათვალისწინებებით მაისის თვეში დაემატა 90 000 ლარი, რამაც საბოლოო ჯამში შეადგინა ერთი მილიონი.

- მილიონი ცოტა თანხა არ არის, ალბათ, ბევრი რამის გაკეთება შესძელით.

- რა თქმა უნდა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საკითხი პრიორიტეტია ჩვენს ქვეყანაში და მისთვის გამოყოფილი ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. დღეს ჩვენი ბაღები ნამდვილად აღარ ჰგავს სამი-ოთხი წლის წინანდელ ბაღებს. ჩატარებულია რემონტები, შეცვლილია ჭერები, იატაკები და კარ-ფანჯრები, კეთილმოწყობილი ეზოები, შეტანილია ახალი დგამ-ავეჯი, ლოგინი. მაგალითად ამ წელს მარტო 125 საწოლი შემოვიტანეთ. გაუმჯობესებულია კვება. მასზე დაიხარჯა 140 ათასამდე ლარი, ახალი სათამაშოებისათვის გავხარჯეთ 10677 ლარი, სერიოზული ხარჯები გავწიეთ დამხმარე მასალების, სამეურნეო საქონლის, ბავშვთა პირადი ჰიგიენის და ფარმაცევტული ნივთების, ავეჯის აქსესუარების, საკანცელარიო ნივთების, მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთების, კომუნალური და სხვა ხარჯების კუთხით.

დიდი ცვლილებებია ბავშვთა კვებით უზრუნველყოფისა და ჰიგიენის თვალსაზრისით. ჩვენ ზედმიწევნით ვცდილობთ, შევასრულოთ სურსათის უვნებლობის სააგენტოს რეკომენდაციები. ყველა პროდუქტს ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვინახავთ კონტეინერებში, კონტეინერით ინახება პროდუქტები მაცივრებშიც. თითოეულ პროდუქტს აქვს თავისი სერთიფიკატი, მათ შორის ხორცსაც, რომელიც ახალია და არა გაყინული, როგორც რამდენიმე წლის წინ იყო. სააგენტოსვე რეკომენდაციით ხმარებიდან ამოვიღეთ სამზარეულოს ალუმინის ჭურჭელი და ის ჩავანაცვლეთ უჯანგავი მასალისაგან დამზადებულით. იდეალური სისუფთავეა სველ წერტილებში: 2 საათში ერთხელ ირეცხება და სადეზინფექციო ხსნარით იწმინდება უნიტაზები, ნიჟარები, კარის სახელურები, მოწყობილია და ფუნციონირებს დეზობარიერები.

- ბავშვთა აღზრდა-განვითარების კუთხით რა გაკეთდა განსხვავებული?

- ყოველდღიური მეცადინეობების ხარისხი და მომთხოვნელობა საკმაოდ გაიზარდა. ამასთან, ტარდება ღონისძიებები და ღია აქტივობები მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირებისათვის. საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისაძიებებს სისტემატური ხასიათი აქვს. მაგალითად: დედის დღე, შემოდგომის ზეიმი, საახალწლო დღესასწაული და სხვა. გასულ, 2014 წელს, 1 ივნისს ჩვენ, ქალაქის ბაღების მონაწილეობით, გავმართეთ სპორტული შეჯიბრი „ყოჩაღი ბავშვები“. წელს აბსოლუტურად განსხვავებული იყო ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. პირველ რიგში, ის არ იყო ერთდღიანი, არამედ ჩატარდა კვირეული, რათა მუნიციპალიტეტის ყველა ბაღი ყოფილიყო ჩართული. ამიტომ ჩავატარეთ ინტელექტუალური შეჯიბრი „პატარა გენიოსები“ ზონების მიხედვით 5-6 წლიანი ჯგუფების მონაწილეობით. ამ პროექტმა დიდი გამოცოცხლება და აქტიურობა გამოიწვია. მასწავლებლები, მშობლები ყველაფერს აკეთებენ, მათი ბავშვების წარმოსაჩენად. დასკვნით ტურში გამოვლინდა გამარჯვებული და ეს ტიტული მოიპოვა ქალაქის №2 ბაგა-ბაღის გუნდმა „ცეროდენა“ (გამგე მანანა ტოკლიკიშვილი) ყველა მონაწილე ბავშვი და გუნდი „ცეროდენა“ დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით. იმის გამო, რომ პედაგოგთა დატრენინგემა ჯერ ვერ მოხერხდა (ამას ფინანსები სჭირდება,) ამიტომ, ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით ღია აქტივობებზე ვიწვევთ შესაბამისი ასაკის ყველა აღმზრდელს.

- რა გაკეთდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში?

- რაც შეეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს (დირექტორი ირმა ნასრაშვილი) ფუნქციონირებს 9 სახის წრე: მხატვრულ-ლიტერატურული (ქართული), მათემატიკის, კომპიუტერის, ინგლისურის, ნორჩ შემოქმედთა, ქართული ტრადიციული ხელსაქმის, მუსიკის, ეთნოგრაფია-მხარეთმცოდნეობის და რუსულის. ამ წრეებში გაერთიანებულია 100-ზე მეტი მოსწავლე-ახალგაზრდა. ყველა წრე უფასოა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებულ ღონისძიებებში კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეა ჩართული. გამრავალფეროვნდა შემეცნებითი ღონისძიებებიც.

მეორე წელია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი აქტიურად იღებს მონაწილეობას მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა თუ ფოლკლორულ შეხვედრებში, რომელსაც მართავს სსიპ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე. დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა 2015 წელს ჩატარებულ კონფერენციებსა თუ ფოლკლორულ შეხვედრებში მოიპოვეს ორი პირველი ხარისხის, ორი მეორე ხარისხის დიპლომი და ხუთი სიგელი. ამასთან დაკავშირებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოეწყო კონფერენცია და დაჯილდოვდნენ მოსწავლეთა 69-ე კონფერენციაში მონაწილე ბავშვები და პედაგოგები.

- მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა: კონკურსები ინტელექტულურ და მხატვრულ კითხვაში, სემინარები, კონფერენციები, სხვადსხვა ნათლისღება“. „წმინდა ნინოს გზა“, „ტრადიციული რეწვის კულტურა ქიზიყში“ (ჯეჯიმები, ხალიჩები, ფარდაგები, ხურჯინები, ჩანთები, საცალოები), კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები: სიყვარულის, დედაენის, დედამინის, დამოუკიდებლობის და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი. მხატვრული კითხვის კონკურსი არაქართველი მოსწავლეების მონაწილეობით „ჩემი საყვარელი ლექსი და პოეტი“, ასევე სარვამარტო ღონისძიებები, ხოლო ივნისის თვეში- შემაჯამებელი ღონისძიება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი, რუსული, ინგლისური, მუსიკის და ტრადიციული ხელსაქმის წრის აღსაზრდელების მონაწილეობით. ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება „ყველაზე ჭკვიანი“ მე-6 მე-7 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით, რომელთაც გადაეცათ სიგელები, ასევე ჩატარდა ღონისძიება „საგალობელი ვაზისა“, სადაც ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლებიდან.

- როგორც ვიცით, მომავალ წელს 200 ათასი ლარით გაგეზარდათ დაფინანსება. როგორია თქვენი გეგმები, რას დაამატებთ თქვენს მუშაობაში 2016 წელს?

- დიახ, ძალიან მადლობლები ვართ რაიონის ხელმძღვანელობის, რომ თანხა გაგვეზარდა. პირველ რიგში ვიტყვი, რომ საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ერთ ნაწილს, მათ შორის მზარეულებს და დამლაგებლებსაც, მოემატებათ ხელფასი 35 ლარით. რა თქმა უნდა, ჩვენც ვიცით, რომ ეს არ არის ის თანხა, რომელიც მათი შრომის კოეფიციენტს შეესაბამება, მაგრამ, მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია და მომავალში უფრო მეტის გაკეთებას შევეცდებით. ასევე ვგეგმავთ ახალი გაზქურების, დიდი მაცივრებისა და ხორცსაკეები მანქანების შეძენას, რათა გავამრავალფეროვნოთ კვების მენიუ. ვფიქრობთ, შევიძინოთ ტელევიზორები და დივიდები, რათა ჩვენს ბავშვებს ხშირად ვაყურებინოთ ქართული მულტფილმები და ფილმები, რათა ისინი ეროვნული სულისკვეთებით გაიზარდნენ, იყვნენ ნაკლებად აგრესიულები. შემოვიტანთ მხატვრულ ლიტერატურას ასაკის გათვალისწინებით. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, რომელსაც იმედიანად ვუყურებთ.

- რას ეტყვით თქვენს კოლეგებს?

- პირველ რიგში ჩვენს ბავშვებს, ჩემს თანამშრომლებს, და არა მხოლოდ მათ, არამედ სრულიად საქართველოს, მუნიციპალიტეტის ყველა მოქალაქეს მივულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! ყოფილიყოს ის ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული ჩვენგანისათვის მშვიდობის, წარმატების, დღეგრძელობის და ურთიერთსიყვარულის წელი. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას და ჩემს კოლეგებს, რომლებთან ერთადაც მე ბევრი კარგი საქმის გაკეთება და მდგომარეობის გაუმჯობესება შევძელი. ერთ ადამიანს ბევრი არაფრის შეცვლა შეუძლია თანამზრახველთა დახმარების გარეშე. ამიტომ, იმედს გამოვთქვამ, რომ კვლავაც ერთად დგომით უკეთეს შედეგებს მივაღწევთ, რადგან მიღწეული ზღვარი არ არის.

ესუბრა ნაირა გორაშვილი.

ულოცავენ!

მეგობრებო, ხელისუფლების სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გეტყვით, რომ 2015 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო ჩვენი რეგიონისთვის. გაკეთდა გზები, მოეწყო სანიაღვრე არხები,მოხდა სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფა,რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააღმზრდელო დაწესებულებებს, ხელისუფლებაში ყოფნის მესამე წელიწადს უამრავი პრობლემის დაძლევა შევძელით. ამ სამი წლის განმავლობაში 3000 -ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად რეგიონში 200 მილიონი ლარი დაიხარჯა. სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 180 საჯარო სკოლას, 182 საბავშო ბაღს. აშენდა 4 ახალი საბავშვო ბაღის შენობა. აშებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს და იორმუღანლოს საჯარო სკოლის შენობები. დამონტაჟდა 8 ახალი ამბულატორია. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ამბულატორიული მომსახურების ახალი ცენტრი. აშენდა თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფო დედოფლისწყაროში.კახეთს გადაეცა სასწრაფო დახმარების 26 ახალი მანქანა.

გასული წელი ასევე აღსანიშნავი იყო ჩვენი სოფლებისთვის, რადგან ქვეყნის ცენტრალურმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად დაასახელა და ბევრი რამ გააკეთა ამ მიმართულებით. იაფი კრედიტის ფარგლებში ბოლო სამი წლის განმავლობაში

რეგიონში 50 ახალი საწარმო გაიხსნა , გადაიარაღდა 314-ზე მეტი საწარმო. შეიქმნა 92 კოოპერატივი. დამონტაჟდა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა, რეგიონის მასშტაბით ფუნქციონირებს 84 საცეცხლე წერტილი. მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში 3 წლის განმავლოვაში დამუშავებულია 130 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. რისთვისაც დაიხარჯა 53 მილიონი ლარზე მეტი. პროგრამის ფარგლებში 150 ათას ბენეფიციარს უსასყიდლოდ გადაეცა სასოფლო სამეურნეო ინვენტარი. სასუქი, სათესლე მასალა,მცენარეთა მოვლის საშუალებები და ნერგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014-2015 წელს ჩატარებული რთველი, რის შედეგადაც კახეთის მოსახლეობამ მიიღო უპრეცენდენტოდ მაღალი შემოსავალი. ყურძნის ჩაბარება პრაქტიკულად შეუფერხებლად მოხდა და გამორჩეული იყო იმით, რომ არცერთი კილოგრამი, მათ შორის დაზიანებული ყურძენიც ჩაუბარებელი არ დარჩენილა. წარმატებები იყო ენერგეტიკაშიც 2013-2015 წლებში კახეთის რეგიონში ექსპლუატაციაში შევიდა 5 ჰიდროელექტრო სადგური, გამრიცხველიანდა და სტაბილური ელექტროენერგია მოეწოდება 28 435 ოჯახს. ელექტროფიცირდა 2 უშუქო სოფელი. გაზიფივირდა და გამრიცხველიანდა 28 ათასამდე ოჯახი.

გაიხსნა შილდის , კაბალის, დუისის ,ნუკრიანის, კაჭრეთის საზოგადოებრივი ცენტრი სადაც მოსახლეობას შეუძლია საჯარო და კერძო სექტორის 300 -ზე მეტი სერვისით ისარგებლოს. მშენებლობის პროცესშია არხილოსკალოს და იორმუღალნოს საზოგადოებრივი ცენტრები და ლაგოდეხში იუსტიციის სახლი. თელავში გაიხსნა კახეთის რეგიონული არქივის შენობა.სადაც თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო საცავები, დაცულია როგორ უსაფრთხოების ზომები, ისე დოკუმენტების შენახვის პირობები.

ცენტრალური ხელისუფლების მიზანმიმართულმა სტრატეგიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მისცა საშუალება 2015 წელი დადებითი მუხტით ყოფილიყო დატვირთული და გაგვეტარებინა ის ღონისძიებები, რამაც რეგიონის ეკონომიკურ, კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ქმედითობა და პერსპექტიულობა დაგვანახა. ეს ყველაფერი კი ჩვენი ერთობლივი წარმატებაა, სწორედ ჩვენი ერთობითა და ურთიერთთანამშრომლობით მივაღწიეთ ამ შედეგებს, ერთად გავუმკლავდით პრობლემებსაც. რათქმაუნდა, ეს არ არის საკმარისი და ვიმედოვნებ, რომ ახალი 2016 წელი კიდევ უფრო წარმატებული, ნაყოფიერი და სასიკეთო იქნება ჩვენი რეგიონისთვის.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით!

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
კახეთის გუბერნატორი

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს!

2015 წელი ხალხზე ზრუნვის წლად შეიძლება შეფასდეს. განხორციელდა ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელმაც პირველ რიგში მოსახლეობაზე ჰპოვა დადებითი ასახვა.

მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროსთვის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. ამიტომ ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ამ დარგის აღორძინებისთვის ზრუნვა იყო.

აგრარული სექტორის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განყლოვანებას. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განადგურდა სარწყავი სისტემა, ერთეულების მიერ კი ჯართის სახით გაყიდულმა წყალგაყვანილობის მილებმა მოსახლეობა სარწყავი წყლის გარეშე დატოვა. სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულებმა ზარალის მეტი ვერაფერი ნახეს. სამელიორაციო სისტემის მოშლის გამო დაეცა მიწის ტენიანობა, ამ ფაქტორმა კი მოსავლიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა-300 ჰექტარზე მევენახეს მხოლოდ 80 ტონა ყურძენი მოჰყავდა.მიუხედავად იმისა, რომ დედოფლისწყაროელი გლეხები ძალ-ღონესა და ფინანსებს არ იშურებდნენ მოსავლის გასაუმჯობესებლად, მათი მონდომება ამაო იყო. ამის გამო დაიწყო სოფლის მიგრაცია. მოგეხსენებათ, ფიროსმანი საზღვრისპირა სოფელია, აქ მცხოვრები მოსახლეობა კი ცოცხალი საზღვრის ფუნქციას ასრულებს. სოფლის დაცლის შემთხვევაში ის მთავარ ფუნქციას კარგავდა. მე მიხარია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ამ რთულ საკითხთან შეჭიდება და წარმატებითაც. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები და წელს სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 5 მილიონ 200ათასი ლარი. ამ ფაქტმა უკვე შეაჩერა მიგრაცია.

„რთველი -2015 წარმატებული იყო დედოფლისწყაროსთვის. ყველამ დააბინავა მოსავალი , ერთი მტევანი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩენილა. 2015 წელს მოიკრიფა 4000 ტონა ყურძენი. მოსახლეობის შემოსავალმა 3 მილიონი ლარი შეადგინა. ამ მიდგომამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და მევენახე მიწისკენ შემოაბრუნა, გლეხმა გაჩეხვის ნაცვლად ვენახის გაშენება დაიწყო. წელს 110 ჰა ვენახი შენდება, შარშან კი-100 ჰა გაშენდა. სოფლის მეურნეობის სფეროშიც მნიშვნელოვანი მიღწევებია- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებამ, თანამედროვე, ახალი მანქანა-იარაღების და მათი საშუალებით მინის დამუშავებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსავლიანობა. 2015 წელს დედოფლისწყაროში ხორბლისა და ქერის რეკორდული მოსავალი მოვიდა. შირაქის ველზე მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელმა1 ჰექტარზე 4-დან 6 ტონამდე შეადგინა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ძლიერი ფერმერი ძლიერი სოფლის, ძლიერი სოფელი კი -ძლიერი სახელმწიფოს გარანტია. ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი მოზარდი თაობისთვის შესაფერისი პირობების შექმნაა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გვაქვს 17 საბავშვო ბაღი და დღეისათვის არცერთი მათგანი არ არის სარემონტო, ყველა მათგანი რეაბილიტირებულია და მოზარდი თაობის სწორად აღზრდისათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. მოზარდ თაობაზე ზრუნვის მიზნით, ჩვენ 100 000 ლარზე მეტი დავხარჯეთ, რათა პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ დარჩენილი ბიბლიოთეკისთვის შესაფერისი შენობა მოგვეძიებინა, შემდეგ კი - გაგვერემონტებინა. ჩვენ შევქმენით ყველა პირობა იმისათვის, რომ აქ მკითხველისთვისაც და მომსახურე პერსონალისთვისაც კომფორტული გარემო იყოს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი გაზიფიცირებულია, მაგრამ დარჩენილია სოფლები, რომლებიც ბუნებრივი აირის გარეშე არიან დარჩენილები.

დედოფლისწყაროს სოფლების: ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანის, საბათლოს, ჭოეთისა და თავწყაროს გაზიფიცირებისთვის პროექტის მოსამზადებლად 200 000 ლარი გამოიყო. ეს პირველი, მაგრამ გიგანტური ნაბიჯია იმისთვის, რომ ამ სოფლების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა მოხდეს. დედოფლისწყაროს წყალმომარაგების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და ლამის აქილევსის ქუსლადაა ქცეული. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ამ საკითხის მოსაგვარებლად ბევრი რამ გაკეთდა და შედეგად მივიღეთ ის, რომ ბევრ სოფელში, სადაც წყალი ფაქტიურად არ იყო, დღეს წყალი გვაქვს. სოფელ არხილოსკალოში საკმაოდ კარგი მდგომარეობაა, მოსახლეობას წყალი აქ 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. სოფელ ზემო ქედში წყლის მიწოდება გაუმჯობესდა და წელსაც სერიოზული თანხა დაიხარჯა გამოტოვებული უბნების დაქსელვის მიზნით. 2016 წლის დასაწყისში, სოფელში აღარ იარსებებს ოჯახი, რომელსაც არ ექნება სასმელი წყალი. სოფელი არბოშიკი წყალუხვობით გამოირჩეოდა, მაგრამ წყალმომარაგება აქაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ე.წ. „მიშმირის წყალზე“ 700 000ლარამდე იხარჯება, რათა სამი ჭაბურღილის მოწყობის შედეგად წყლის დებეტმა მოიმატოს და პირველ ეტაპზე 150 ოჯახი სასმელი წყლით იყოს უზრუნველყოფილი. სოფელ გამარჯვებაში ზაფხულობით, როდესაც წყლის დებეტი იკლებს, მოსახლეობის ნაწილი წყლის გარეშე რჩება. სოფლის „ხუთმილა წყალზე“ მოეწყობა წყალშემკრები აუზი, დაყენდება ტუმბო და წყალი მიეწოდება ცენტრალურ რეზერვუარს. ამ სამუშაოების შედეგად გამარჯვებელებს მომავალი წლის ზაფხულში აღარ ემუქრებათ წყლის გარეშე დარჩენა. ქვემო ქედში იცვლება 5 კილომეტრიანი სადაწნევო მილი, რითიც მოხდება ცენტრალური რეზერვუარისთვის წყლის მიწოდება. აქაც ტუმბოს ვაყენებთ, რადგან გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ზოგან უჭირს წყალს თვითდინებით მისვლა. ეს პროექტიც მოსახლეობას მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს წყალმომარაგების ხარისხს. მარტო ამ სამ პროექტში, რომელიც ახლა მიმდინარეობს და იანვრისთვის დასრულდება, 400 000 ლარზე მეტი იხარჯება, 700 000 ლარზე მეტი იხარჯება არბოშიკში, 1 100 000 ლარი არა არის პატარა თანხა, ვფიქრობ, ეს ზუსტად ის პროექტებია, რომლებიც ხალხის დაკვეთით განხორციელდა. დედოფლისწყაროს წყალმომარაგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კონკრეტული ქმედებები უკვე დაიწყო. წყალმომარაგების კომპანია იწყებს სამუშაოებს და მათი დასრულების შემდეგ, გაზაფხულისთვის, წყლის დეფიციტი აღარ შეაწუხებს ქალაქის მოსახლეობას.

2016 წლის გაზაფხულზე ახალი საავადმყოფოს გახსნა მოხდება და საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა, დაიგება ასფალტის საფარი, გაკეთდება გარე განათება.

სოციალური პროექტებისთვის ჩვენმა მუნიციპალიტეტმა 612 000 ლარი დახარჯა. „სათნოების სახლში“ ყოველდღიურად 250 ბენეფიციარი საკვებით არის უზრუნველყოფილი. დღეს ჯანდაცვის სისტემაში გიგანტური ნაბიჯებია გადადგმული და ოპონენტებიც კი აღიარებენ ამის ნარმატებას. ბევრმა ადამიანმა ისარგებლა უფასო ჯანდაცვის პროგრამით, თუმცა, ამის მიუხედავად არიან ადამიანები, რომელთაც მაინც სჭირდებათ ჩვენი თანადგომა.ადგილობრივი ბიუჯეტი ყველანაირად ცდილობს, მხარში ამოუდგეს მოსახლეობას და მათი ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში თანადაფინანსებით შევდივართ. 2015 წელს სწორედ ამ მიზნით რამდენჯერმე გაიზარდა სოციალური პაკეტი. მომავალი, 2016 წლის ბიუჯეტი საგრძნობლად გაუმჯობესებულია და ჯამში ის გაზრდილია 400 000 ლარამდე სოციალური კუთხით, რაც, დამეთანხმებით, ცოტა თანხა არ არის.“ქართული ოცნების“ მთავარი ღირებულება იყო და არის ადამიანი, მასზე ზრუნვა.

ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ, დაე, მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ის ყველა თქვენგანისთვის!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალნელს. ვისურვებდი, რომ ახალი 2016 წელი იყოს ხვავისა და სიკეთის მომტანი დედოფლისწყაროსა და თითოეული დედოფლისწყაროელისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წელსაც გააგრძელა კურსი, რომელიც 2013 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ აიღო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად განახორციელა გარკვეული ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც სოციალური მომსახურების პაკეტი გაცილებით მოქნილი და ხელმისაწვდომი გახდა. პირველ ეტაპზე, ვიზრუნეთ ჩვენს მომავალზე და 150 ათასი და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის 0-დან 6 წლამდე ბავშვების სამედიცინო მომსახურებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 500 ლარი გამოვყავით. ამბულატორიულ-სტაციონალური მკურნალობისა და გამოკვლევებისათვის გარკვეული შეღავათები უფროსი თაობის ადამიანებისთვისაც გავითვალისწინეთ. ჰემოდიალიზზე მყოფ ჩვენს მოქალაქეებს ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 100 ლარს ვუხდით. ასევე, ჩვენი მოქალაქეები, რომელთაც 100 ათასი და ნაკლები სარეიტინგო ქულა აქვთ , გეგმიური სტაციონალური მკურნალობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც იღებენ თანადაფინანსებას, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ხანძრის, მიწისძვრისა და ბუნებრივი კატასტროფის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ბინის ქირის მოთხოვნისათვის სარეიტინგო ქულის წარდგენა აღარ დასჭირდება. გეტყვით იმასაც, რომ 1992-2008 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გარდაცვლილთა ოჯახებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1000 ლარიანი დახმარება გადაეცათ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 150 ლარი. სიახლეა ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული მეომრის ნეშტის გადმოსვენებისა და დაკრძალვის უზრუნველყოფის მიზნით, ოჯახს ერთჯერადად 3 ათასი ლარი გადავცემთ. კარგად გვესმის, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი ჯერაც მძიმეა და ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებები ვერ იქნება საკმარისი., მაგრამ ჩვენს მოსახლეობას ყოველწლიურად ვაძლევთ პირობას, რომ გავაკეთებთ მაქსიმუმს და ამ სიტყვას ვასრულებთ კიდეც. ამის დასტურად გეტყვით, რომ გამგეობასთან ერთად, მომავალი წლის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განვსაზღვრეთ, რისთვისაც 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 689,4 ათასი ლარი დაიხარჯება. კონკრეტულ მიმართულებებზე ინფორმაციას კი ეტაპობრივად მოგაწვდით.

დამეთანხმებით, რომ დედოფლისწყაროსთვის ინფრასტრუქურის მშენებლობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ამ სფეროში ჩვენთან მრავალი წლის მანძილზე არაფერი გაკეთებულა. ,,ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდანვე დაიწყო და დღესაც აქტიურად აგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2015 წლის განმავლობაში რეგიონალური განვითარების ფონდის, სოფლის დახმარების პროგრამისა და ადგილობრივი ბიუჯეტის მეშვეობით 3 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. წარმატებით დასრულდა ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის, არბოშიკისა და სამთაწყაროს საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია. მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება სოფელ არბოშიკში, გამარჯვებაში, ქვემო ქედსა და ზემო ქედში. ასევე აღსანიშნავია ის პროექტები, რომლებიც შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის, გარეგანათების, სანიაღვრე არხებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის ხორციელდება. ამ მიმართულებით მუშაობას აქტიურ რეჟიმში ვაგრძელებთ. კერძოდ, საკრებულომ უკვე მოიწონა და დაამტკიცა 2016 და 2017 წლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა, რომელთა შესახებაც ინფორმაციას ასევე ეტაპობრივად მოგაწვდით.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ შირაქში, ე.წ. დიდნაურის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები დღითიდღე უფრო მასშტაბურ სახეს იღებს. მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ მამულიშვილურ საქმეს აქტიურად უჭერს მხარს და შეძლებისდაგვარად ეხმარება ადგილზე მომუშავე ექსპედიციას. ვიმედოვნებთ, რომ დედოფლისწყაროს ტურისტულ ზონად ქცევაში დიდნაურის ნაქალაქარიც დიდ წვლილს შეიტანს.

ჩემო დედოფლისწყაროელებო, რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული ნუსხა იმ საქმეებისა, რაც საკრებულომ გამგეობასთან ერთად 2015 წელს გააკეთა. მთავარია, რომ ამ შრომის შედეგი თქვენ, თითოეულმა ჩვენმა თანამოქალაქემ იგრძნოთ. ვიცით, რომ კიდევ ბევრი უნდა გავაკეთოთ ჩვენი რაიონის კეთილდღეობისათვის, ამისათვის კი შრომასა და მონდომებას არ დავაკლებთ. წინსვლისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას ადგილობრივი ხელისუფლება მომავალშიც გააგრძელებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ 2016 წელს . სიკეთე გქონოდეთ, ძვირფასო თანამემამულეებო.

ზვიად ჯავახიშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქართული და ფრანგული ენების ინტეგრირებულ გაკვეთილზე...

საერთაშორისო გავლენიდან გამომდინარე, წლებია ჩვენს ქვეყანაში მეორე ენა ინგლისურია. გლობალურ საზოგადოებაში ცხოვრების რეალობა გავლენას ახდენს იმაზეც, თუ რას და როგორ ვისწავლით, ეს ეხება როგორც ენობრივ განათლებას, ისე ნებისმიერი საგნის სწავლებას. ორი სხვადასხვა ენის, ანდა, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება მსოფლიოში წლებია აპრობირებულია, როგორც განათლების გადაცემის თანამედროვე მეთოდი მოსწავლეებში შესაფერისი ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის. სხვადასხვა დისციპლინების ინტეგრაციის შედეგად მოსწავლეები ხედავენ ენებს შორის განსაკუთრებულ კავშირს.

მეორე წელია, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში საპილოტე პროგრამის ფარგლებში იონის დეპარტამენტის, საფრანგეთის საელჩოს, განათლების სამინისტროს, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით, დამატებით ფრანგული ენის სწავლება მიმდინარეობს. თავდაპირველად შეირჩა მესამე და მეათე კლასები, რომლებიც ახლა მეოთხე და მეთერტმეტე კლასებია, სულ სკოლაში ამჟამად ხუთ სხვადასხვა კლასში ეუფლებიან ფრანგულ ენას. ჩვენთვის, როგორც მშობლებისთვის და არა მხოლოდ, ეს ძალიან სასიხარულო და მისასალმებელი ფაქტია, თუმცა, ვისურვებდი, არ ვყოფილიყავი უმცირესობაში და სამომავლოდ ყველა მსურველ მოსწავლეს ჰქონდეს ფრანგული ენის შესწავლის საშუალება.

21 დეკემბერს N1 საჯარო სკოლის მეოთხე ბ კლასის ქართული ენისა და ფრანგული ენის ინტეგრირებულ გაკვეთილს დავესწარით. ქართული ენის პედაგოგებმა ქეთინო დავითაშვილმა და ნუნუ ბეგიაშვილმა ფრანგული ენის

მასწავლებელთან ნინო ბეროშვილთან ერთად, იხელმძღვანელეს რა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ძალიან საინტერესო, საჩვენებელი ინტეგრირებული გაკვეთილი ჩაატარეს. სახელმძღვანელო თემად ორივე საგანში წელიწადის დრო-ზამთარი იყო შერჩეული, ქართულისთვის ზღაპარი "დიდი ზამთარი", ფრანგულისთვის ზამთრის მიმოხილვა. მოსწავლეებმა ჩაიკოვსკის "წელიწადის დრონის" ფონზე შექმნეს ჩანახატები ზამთრის შესახებ გაკვეთილის მიხედვით, დადგეს ყინულისგან გაქვავებული, დაჭირხლული ტყის სცენარი ზღაპრის მიხედვით, თქვეს ფრანგულად ლექსები, იმღერეს და 45 წუთი გვამოგზაურეს ორი ულამაზესი ენის სამყაროში...

გაკვეთილის დასარულს ჩვენ საშუალება გვქონდა გავსაუბრებოდით ფრანგული ენის მასწავლებელს, რომელიც უკვე მეორე წელია, ენერგიას არ იშურებს, რათა მისი თითოელი მოსწავლე საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში დაეუფლოს დამატებით უცხო ენას და სკოლის დამთავრებამდე საფუძვლიანად შეისწავლოს იგი.

ნინო ბეროშვილი, **ფრანგული ენის პედაგოგი:** – დიახ, ჩვენს ბავშვებს აქვთ საუკეთესო შესაძლებლობა, კიდევ ერთი ულამაზესი, პოპულარული ენის შესწავლის, მე ამისთვის თავს არ ვზოგავ და ვცდილობ, ყველას თანაბრად გავუნაწილო დრო და ენერგია. ჩვენ უკვე დავამთავრეთ ანბანის შესწავლა, ვაწყობთ სიტყვებს, წინადადებებს, გასულ წელს არ გქონდა წიგნები, ამიტომ ძირითადად ზეპირი მეცადინეობების ფარგლებში მიმდინარეობდა ჩვენი საგაკვეთილო პროცესი, წელს განათლების სამინისტრომ გადმოგვცა ახალი წიგნები და უკვე ვკითხულობთ გამართულად, ვიცით ფრანგულად ლექსები, ვანმტკიცებთ გასულ წელს ნასწავლ ზეპირ მასალას, ვეუფლებით კითხვის ტექნიკას. მიუხედავად კლასის მრავალრიცხოვნობისა, კარგად მომყვება მათი ძირითადი შემადგენლობა, მხოლოდ ორ-სამ ბავშვს უჭირს ასოების ცნობა, იმედი მაქვს, წლის ბოლოსთვის ყველას კარგად ეცოდინება წერა-კითხვა და განვლილი მასალის თარგმნა- ამბობს ჩვენთან საუბარში ქალბატონი ნინო და როგორც მშობელს, მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენი შვილები ხელიდან არ გაუშვებენ უნიკალურ შანსს, ინგლისური ენის პარალელურად ამ მცირე ასაკიდან შეისწავლონ ფრანგული ენაც.

ელზა ხარაშვილი

საახალწლო ზღაპარი

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში წინასაახალწლო ღონისძიებათა კვირეულია, ყოველდღიურად თითოეულ სკოლაში რამოდენიმე ღონისძიება მიმდინარეობს, ჩვენ, რათქმაუნდა, ფიზიკურად ყველა მათგანს ვერ დავესწრებით, მაგრამ ვხედავთ, რომ პედაგოგთა პათოსი ერთია- თავდაუზოგავად იზრუნონ, რათა შეუქმნან საახალწლო, მხიარული განწყობა თითოეულ მოსწავლეს, დაეხმარონ მათ ლამაზი ღონისძიებებისა თუ სპექტაკლების დადგმაში, შეიტანონ მეტი სილაღე და დადებითი ემოცია მათ ცხოვრებაში...

23 დეკემბერს ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის III^{ბ} კლასის ღონისძიებას ვსტუმრობდით. სპექტაკლ "საახალწლო ზღაპრის" სცენარის ავტორიც და სამხატვრო ხელმძღვანელიც კლასის დამრიგებელი ბელა სულაშვილი გახლდათ. ულამაზეს კოსტიუმებში გამოწყობილ პატარებს წინ დაუვიწყარი სანახაობა ელოდათ,იმ დღეს თითოეული მათგანი ზღაპრის გმირი იყო, იმ ზღაპრისა, სადაც სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე...

"თურმე შორეულ წარსულში, სანტას სამეფოში ერთი უცნაური ამბავი დატრიალებულა...ყინულის დედოფალმა, რომელსაც სასახლეში მოჯადოებული წითელქუდა ჰყავდა მოახლედ, ერთ კუდიან დედაბერს და მის შვილს სანტას სამეფოდან საჩუქრების მოპარვა უბრძანა, ცაში ფიფქები გაყინა და მძევლად ფიფქია მოითხოვა! დანაღვლიანებულ სამეფოში ყველა იმაზე ფიქრობდა, როგორ დაებრუნებინათ თოვლი და საჩუქრები. პატარა მარიამს ზამთრის თვეებმა საიდუმლო გაანდეს...ამ საიდუმლოს მიხედვით, ბოროტი ყინულის დედოფლისთვის ფიფქიას ჯადოსნური კარამელის კანფეტები უნდა მიერთმია და ასე დაიბრუნებდნენ ახალ წელს...

ფიფქიას დაეხმარნენ ზღაპრის გმირები:ელფები, კარლსონი, ბურატინო და ჯადოსნური კანფეტების წყალობით ბოროტები კეთილებად გადააქციეს, სანტამ საახალწლო საჩუქრები დაიბრუნა, ციდან ფიფქები წამოვიდა, წითელქუდას ჯადო მოეხსნა, დედაბერი და მისი შვილიც გალამაზდნენ, ყინულის დედოფალს კეთილი გული გაუხდა და ყველამ ერთად იზეიმა ახალი წელი"...

ეს არის ზღაპრის კეთილი დასასრული, სადაც სიკეთემ გაიმარჯვა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ზღაპარში არ ხდება ასე, ბოროტებას ხომ ყოველთვის ამარცხებს სიკეთე...

ვფიქრობ, სწორედ ამის ახსნა და გაცნობიერება სურდა ბელა მასწავლებელს თავისი მოსწავლეებისთვის, როდესაც ის მათთვის სცენარს სწერდა... ბავშვებისთვის ხომ ეს მხოლოდ საახალწლო ზღაპარი არ იყო, ეს იყო დღე, რომელიც მათ მეხსიერებას აღებეჭდა ბოროტებასთან გამარჯვების, ბედნიერი მომავლის იმედის, მშობლებისა და პედაგოგების ნდობის გამართლების, საერთო მხიარულების დღე, რომელიც უდიდეს ადგილს დაიკავებს მომავალში მათი პიროვნების სწორად ფორმირებაში, მათ ინტელექტუალურ განვითარებასა და რაც მთავარია, მათ ჰუმანურობაში.

საახალწლო სპექტაკლს ესწრებოდნენ როგორც სკოლის დირექცია, აგრეთვე რესურსცენტრის ხელმძღვანელობა. მათ მადლობა გადაუხადეს ბელა მასწავლებელს ასეთი საინტერესო და ორიგინალური ღონისძიების მოწყობისთვის.

ელზა ხარაშვილი

ჩვენ გვჯერა ჩვენი შვილების...

უკვე ერთი წელია, დედოფლისწყაროს რესურსცენტრს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი ეთერ ზურიკაშვილი ხელმძღვანელობს, მას აქვს როგორც 25 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, გამოირჩევა მენეჯერული თვისებებით, ბრძოლისუნარიანობითა და მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის საჭირო სამუშაო პირობების შექმნით.

ჩვენ ვესაუბრებით ეთერ ზურიკაშვილს მისი ხელმძღვანელად მოსვლიდან ერთი წლის მანძილზე განათლების სფეროში გაწეული მუშაობის შესახებ.

– დიახ, ერთი წელი ხდება, რაც დავინიშნე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად და მოგახსენებთ 2015-2016 სასწავლო წლის მუშაობის შესახებ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დაქვემდებარებაშია 15 საჯარო და 2 კერძო სკოლა. საჯარო სკოლების 2691 მოსწავლეს 430 პედაგოგი ემსახურება. მიგრაციის გამო გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა.

2015-2016 სასწავლო წელი ჩვენი რაიონის საჯარო სკოლებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. წელს 174-მა პირველკლასელმა მიიღო "ნოუთ ბუქი", 35-მა წარჩინებულმა მეათეკლასელმა მოსწავლემ პერსონალური კომპიუტერი, 17 მოსწავლე დაჯილდოვდა მედლებით, მათგან 11 ოქროს, 6-ვერცხლის მედლით.

ეს პროგრამები სახელმწიფოს პრიორიტეტი გახლავთ, წახალისება მოსწავლეთა მოტივაციას ამაღლებს. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სამი წელია, სკოლებს უფასო სახელმღვანელოები ურიგდება და ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლეც სარგებლობს ამ საჩუქრით.

სახელმწიფოს პრიორიტეტია აგრეთვე მასწავლებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება. ხელფასების მატებამ, რომელიც სამი წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა, თითქმის 60%-ით, კიდევ უფრო გაზარდა პედაგოგთა მოტივაცია. ისინი ჩაერთვნენ სქემაში, შეავსეს თვითშეფასების კითხვარები, აქტიურობენ ,რომ ჩააბარონ გამოცდა და დააგროვონ კრედიტქულები.

სკოლის დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები ხალისით ერთვებიან სხვადასხვა პროექტებსა თუ კონკურსებში, მათ შორის აღსანიშნავია სამთაწყაროს საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის"იარონ" წევრების აქტიურობა. მათ მოიპოვეს 450 დოლარიანი გრანტი და ამ თანხით მოაწყვეს ფეხბურთის სტადიონი.

ოზაანის საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა კი დაწერეს პროექტი სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, რომელიც "ახალგაზრდული ბანკის" მიერ დაფინანსდა 800ლარით. მოსწავლეებმა ამ თანხით შეიძინეს წიგნები და რუკები სკოლისათვის.

ქალაქის N2 საჯარო სკოლას ჰქონდა პროექტი რადიოკვანძის მოწყობის შესახებ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ "ახალგაზრდული იდეა" დააფინანსა 760 ლარით. პროექტს ხელმძღვანელობდა ანა ლოლაშვილი.

სამრეკლოს საჯარო სკოლა სამოქალაქო განათლების პროგრამით „მომავლის თაობა" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (IUSD)დაფინანსებით „წიგნის თაობა" 450 დოლარით დააჯილდოვა.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლამ ორი პროექტის კონკურსში გაიმარჯვა, ერთი 450 დოლარით დაფინანსდა, მეორე 560 ლარით. პროექტები დააფინანსა" "ახალგაზრდულმა ბანკმა" "სუფთა გარემო სკოლაში" და "მომავლის თაობამ" "ჯანმრთელი თაობა 21-ე საუკუნეს", ორივე პროექტის ხელმძღვანელია პედაგოგი ნეჟნა ჩუბინიძე.

არხილოსკალოს საჯარო სკოლა პროექტში "კითხვისა და კლასის საათი" დაფინანსდა 1362 ლარით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ხოლო პროექტი "ინგლისური ენის კაბინეტი" 1029 ლარით დაფინანსდა.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მოსწავლე ილონა პაპაშვილმა გაიმარჯვა მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში და გაემგზავრა აშშ-ში. ვაჟა-ფშაველას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ თეატრალურ კონკურსში გაიმარჯვეს მეხუთე კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი თეონა ღონღაძე) და მოხვდნენ საქართველოს დასის წევრთა ათეულში. ისინი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააჯილდოვა ბილეთებით მარჯანიშვილის სახ. თეატრში სპექტაკლზე დასასწრებად და ჩარგალში ექსკურსიით "ვაჟაობის" აღსანიშნავ იუბილეზე.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ბლოგების კონკურსში" პლანეტა თამბაქოს კვამლის გარეშე" გაიმარჯვეს, დაჯილდოვდნენ და მოხვდნენ რესპუბლიკის ათეულში.

განათლების სამინისტრო ზრუნავს სკოლების ინფრასტრუქტურაზე. გათბობის რეაბილიტაცია ნაწილობრივ მოხდა ქალაქის N2 საჯარო სკოლაში, ხოლო ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში სრულად. დაგეგმილია აგრეთვე N1 საჯარო სკოლის გათბობისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია.

ზემო ქედის N1 საჯარო სკოლაში გადაიხურა სპორტული დარბაზის ჭერი, 2016 წლისთვის დაგეგმილია თითქმის ყველა სკოლის სრული ელექტროფიცირება.

მთავრობა და განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის რესურს ოთახების მოწყობას, მათთვის საჭირო პირობების შექმნას. ჩატარდა სპეცპედაგოგების ტრენინგები, ყველაფერი კეთდება, რომ მოხდეს ამ ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში.

ყველასათვის ცნობილია, რომ ხანძრის შედეგად დაიწვა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა, მიუხედავად ექსტრემალური სიტუაციისა, სწავლის პროცესი მხოლოდ ერთი დღით შეწყდა. ვისარგებლებ შემთხვევით და ამ სიტუაციაში გამოჩენილი დიდი გულისხმიერებისთვის განათლების სამინისტროსთან ერთად მადლობას გადავუხდი მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს. მოგეხსენებათ, სიკეთე გადამდებია, ყველა გვერდში დაუდგა სკოლას, ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, არ მინდა ვინმე გამომრჩეს და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, ვინც დაეხმარა სკოლას.

დასასრულს უახლოვდება პირველი სემესტრი, საახალწლო ღონისძიებები სკოლებში აქტიურ ფაზაშია შესული, მინდა , ჩვენს თითოეულ მოსწავლესა თუ პედაგოგს, მათ მშობლებს, სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი 2016 წელი. დაე, ეს წელი ყოფილიყოს ჩვენი ხალხისთვის და ქვეყნისთვის წარმატებისა და ბედნიერების მომტანი წელი, უფალი გფარავდეთ ყველას.- ასე დაასრულა ჩვენთან წლის შედეგებზე საუბარი ეთერ ზურიკაშვილმა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ გვყავს და გვეზრდება თაობები, რომელთა იმედით შეგვიძლია სრულიად მშვიდად ვიცხოვროთ ამ ქვეყნად.

ელზა ხარაშვილი

მეუფე, ლადო ათანელი და ვაშლოვანის ნაკრძალი

„შირაქმა" 2015 წლის არქივს გადახედა და წლის მნიშვნელოვანი მოვლენები გამოყო. აღმოჩნდა, რომ გასული წელი დედოფლისწყაროსთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენებით დახუნძლული იყო. მეუფის ცვლილება, ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლის ცერემონია, ვაშლოვანის ევროპული აღიარება და ნაკრძალისთვის დიპლომის მინიჭება, თუ ლადო ათანელის საღამო დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში - ეს იმ გამორჩეულ მოვლენათა მცირე ჩამონათვალია, რომელიც 2015 წელს დაფიქსირდა.

● 2015 წელი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებით დაიწყო. წმინდა სინოდის გადაწყვეტილების საფუძველზე 15 იანვრიდან მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძე დედოფლისწყაროში გადმოიყვანეს, ხოლო მეუფე მელქისედეკ ხაჩიძე იმერეთში, მარგვეთისა და უბისის მღვდელმთავრად გადაიყვანეს.

მრევლს პატრიარქის გადაწყვეტილება წმინდა სინოდის წევრებმა გააცნეს, რომლის მიხედვითაც ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად მეუფე დიმიტრი კაპანაძე დაინიშნა. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში შეკრებილ მრევლს მეუფე დიმიტრი ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ გააცნო, მეუფე მელქისედეკს კი მსახურობისთვის მადლობა გადაუხადა. მეუფე მელქისედეკთან ერთად აქვე იმყოფებოდნენ ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტი გრიგოლი, ვანისა და ბაღდათის მღვდელმთავარი მიტროპოლიტი ანტონი. მეუფე დიმიტრის მასპინძლობას მეუფე მელქისედეკი უწევდა, რომელმაც ეპისკოპოსს საპატრიარქოს სკოლა დაათვალიერებინა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. მოგვიანებით კი ელიას მთაზე მდებარე ტაძარი და ახლადაშენებული კელიები დაათვალიერებინა. მეუფე მელქისედეკის წარდგენის ცერემონია გაიმართა ზესტაფონშიც. ქალაქ ზესტაფონის ცენტრში მდებარე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში მრევლს მეუფე მელქისედეკი გააცნეს.

● წლის მნიშვნელოვან მოვლენებს შორის შეიძლება აღინიშნოს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღოლად დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძის დაბრუნება. გადაწყვეტილება ეპარქიის მღვდელმთვარმა მეუფე დიმიტრი კაპანაძემ მიიღო. ახალი მეუფის გადაწყვეტილებამ მრევლი განსაკუთრებულად გაახარა. ისინი ამბობენ, რომ მამა ნიკოლოზის დაბრუნება ბევრი მათგანის ოცნება იყო. 2013 წლის 13 ივლისს მამა ნიკოლოზი ამავე ტაძრიდან სოფელ სამთაწყაროში გადაიყვანეს, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა. პროტესტის ნიშნად მრევლმა ტაძარი დატოვა და წირვა ცარიელ ტაძარში აღევლინებოდა. მოგვიანებით კი მრევლმა საპროტესტო აქცია ეპარქიის რეზიდენციასთანაც გამართა. იმხანად, ეპისკოპოს მელქისედეკ ხაჩიძეს მრევლის თხოვნა არ გაუთვალისწინებია, მამა ნიკოლოზის გადაყვანამ კი ტაძარში მრევლის შემცირება გამოიწვია. მართლმადიდებლების დიდი ნაწილი წირვაზე დასასწრებად 50-მდე კილომეტრს გადიოდა და მამა ნიკოლოზთან, აზერბაიჯანის მოსაზღვრე სოფელ სამთაწყაროში დადიოდა.

● წლის პირველ ნახევარში დედოფლისწყაროში, სატელევიზიო ანძის მიმდებარედ არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა დასრულდა. ჩატარებული სამუშაოები დღეს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორმა", გიორგი შუხოშვილმა, კახეთის რეგიონის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. თანამედროვე სტანდარტების ახალი ნაგავსაყრელის ამოქმედება დედოფლისწყაროსთვის განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს, რადგან კლიმატის ცვლილების პარამეტრები ყველაზე მეტად სწორედ ამ ტერიტორიაზე შეინიშნება.

(გაგრძელება გვ.6)

გასული წელი კულტურისთვის ნაყოფიერი იყო

2015 წელი დედოფლისწყაროს კულტურის სფეროსთვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მრავალმა ღონისძიებამ შესამჩნევად გამოაცოცხლა რაიონის კულტურული ცხოვრება, ხალისიანი და საინტერესო გახადა დედოფლისწყაროელების ცხოვრება. დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნონა ჯიბღაშვილი დამდეგ ახალ წელს ულოცავს სრულიად საქართველოს, დედოფლისწყაროელებს და განსაკუთრებით კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებს. ქალბატონი ნონა ჩვენთან საუბარში გასული წლის კულტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობას აჯამებს და გაწეული საქმეების შეფასების უფლებას მკითხველს უტოვებს.

-„სამსახურში მისვლის პირველივე საგაზეთო ინტერვიუში მე დავპირდი ჩემს ქალაქს, რომ კულტურის ცენტრი არცერთ თვეს არ გამოტოვებდა ღონისძიების გარეშე და დღეს არამცთუ თორმეტი ღონისძიება გვაქვს სახეზე, არამედ სამოცდათორმეტ ღონისძიებაზე მეტი გვაქვს უკვე ჩატარებული. აქედან ზოგიერთი თანამონაწილეობით, უმეტესობა დამოუკიდებლად ჩატარდა. 2015 წელს რაიონის ისტორიაში პირველად, მრავალწლიანი მოლოდინის შემდეგ, გაკეთდა თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა, დამონტაჟდა გათბობა და ორგანიზაცია აღიჭურვა ავეჯით. ასევე, სიახლეა, რომ რაიონული ბიბლიოთეკა სრულად იქნება კომპიუტერულ ბაზაზე მომუშავე, რისთვისაც კულტურის სამსახური ახდენს თანამშრომლების გადამზადებას და კომპიუტერულ სწავლებას გადის თითოეული თანამშრომელი. სიახლეა ისიც, რომ სპეციალური პროგრამით წიგნების დარიგება მოხდა ყველა ტერიტორიული ორგანოს ბიბლიოთეკაში, მოხდა სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია და ამ სამსახურების ინტერნეტმომარაგება. ამ წელსვე განხორციელდა მუზეუმის გაზიფიცირება და განათების რეაბილიტაცია, სოფლების გაზიფიცირება, კინოს ფუნქციონირება. წელს საფუძველი ჩაეყარა ახალი ანსამბლის „აისელების” შექმნას. მოხდა ამ ანსამბლის ინსტრუმენტით უზრუნველყოფა, ანსამბლ, ხორნაბუჯის შემოსვა (ჩოხა, ქამარი, ჩექმა, ხანჯალი, ლეკვერთხი, მასრა), წელსვე მოხდა ქუჩის სცენის შეძენა, რომელსაც წლების განმავლობაში ქირაობდნენ და საკმაო თანხა იხარჯებოდა ამაში. განხორციელდა ასევე საოპერატოროს ამოშენება საიდანაც ხდება სცენის განათება და გახმოვანება. ამით მოხდა დარბაზის მაყურებლიდან საოპერეტოროს იზოლირება. მოხდა კულტურის სახლის დარბაზის გათბობა-კონდიცირება, პროფესიონალური ფოტოაპარატის შეძენა. კულტურის სახლისთვის უკვე შევიძინეთ მიკროავტობუსი. 2015 წლის მანძილზე ჩავატარეთ იებით და წითელი ხალიჩით მოფენილი საღამო რვა მარტისთვის, ღონისძიებამ სახელწოდებით „ამაგდარმა“ მთელი რაიონის სოფლები შემოიარა, სადაც ყველგან საუკეთესო დახვედრა მოგვიწყეს ადგილობრივმა კოლექტივებმა. გვქონდა სააღდგომოდ ძალიან ლამაზი ღონისძიება დედაოებთან შეხვედრით. ჩავატარეთ 26 მაისი, დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“ და ასევე ულამაზესი ფიროსმანობა სოფელ მირზაანში. წლის განმავლობაში ცარო მარტიაშვილის თეატრალური კოლექტივის „ბერიკონის“ მიერ დაიდგა სპექტაკლები „სტუმარ-მასპინძელი“ „ბასიანის ბრძოლა“ და სულ ახლახანს ითამაშეს სპექტაკლი „ფიროსმანი“. თითოეულმა სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთღებით მინდა გამოვყო, კორპორაციული საღამოს გამართვა, სადაც 100- ზე მეტი კულტურის მუშაკი იყრიდა თავს. მათ შორის იყვნენ ყველა სოფლის კულტურის მუშაკები და ხელმძღვანელობა. ასევე მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ძალიან საინტერესო უსინათლო ბავშვების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა. წინასაახალწლოდ, 28 დეკემბრისთვის მზადდება მშვენიერი საახალწლო საშობაო ზღაპარი, რომელიც კულტურის სახლის სცენაზე დაიდგმება დღის სამ საათზე, ხოლო 29 დეკემბერს გაიმართა გალა კონცერტი ღია ცის ქვეშ. ჩემი მოთხოვნის შესაბამისად უკვე გამომეხმაურა სამეჯლისო ცეკვების მასწავლებელი და მომავალი წლისთვის სიახლე იქნება ის, რომ გვექნება სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე. ეს გახლავთ ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოების და განსახორციელებელი პროექტების არასრული ჩამონათვალი. უფლის მადლით მეტი და მეტი სიახლეები დაგვენერგოს და სისრულეში მოგვეყვანოს, ყოველშემთხვევაში ყველანაირად ვეცდებით, რომ თითოეული ჩვენი მოქალაქის ყოველი დღე წინაზე უკეთესი იყოს. ვულოცავ თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ბავშვს დამდეგ შობა-ახალწელს, ბედნიერების, სიყვარულის და ერთმანეთის გატანის წელი ყოფილიყოს!“

ლალი მეხრიშვილი

მეუფე, ლადო ათანელი და ვაშლოვანის ნაკრძალი

(მეხუთე გვერდიდან)

ნაგავსაყრელი, რომელიც 60986.19 მ^2 ფართობს მოიცავს 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ყოველდღიურად პოლიგონის ტერიტორიაზე 80 მ^3 ნარჩენი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან შედის. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ დედოფლისწყაროს პოლიგონი 2013 წლიდან გადაეცა. იმ დროისთვის პოლიგონი სტანდარტების შეუსაბამოდ ოპერირებდა. ნარჩენების შეტანა ხდებოდა არაორგანიზებულად. ასევე, ნაგავსაყრელზე არ ხორციელდებოდა კონტროლი და სანიტარული ზედამხედველობა, ტერიტორია არ იყო შემოღობილი და ხდებოდა როგორც მოქალაქეების, ისე ცხოველების გადაადგილება. ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებდა ეკოლოგიურ და სანიტარულ ნორმებს. პოლიგონის ოპერირება ზიანს აყენებდა გარემოს და საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, შპს“საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ , მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის მიზნით, ტერიტორიის შემოღობვა განახორციელა, მოაწყო პოდიგონის შიდა გზები, წყალარინების არხები. ასევე, მოხდა ტერიტორიის ელექტროფიცირება. მოეწყო მიწის კავალიერები, შემდგომი ექსპლუატაციისთვის. ნაგავსაყრელი აღიჭურვა სპეცტექნიკით.

განახლებული პოლიგონის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, განისაზღვრა ნარჩენების მიღება და მათი განთავსება პოლიგონზე გამოყოფილ სპეციალურ უჯრედებში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის პროექტი,რომლის ღირებულებამ 230 000 ლარი შეადგინა, დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ — შპს „ლავა“. სამუშაოებზე 5 ადგილობრივი მოსახლე იყო დასაქმებული.

● წლის და, ზოგადად, ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა დედოფლისწყაროს ისტორიაში გამორჩეული დღე იყო 6 ივნისი, როცა ოლიმპიური ცეცხლი მუნიციპალიტეტში შემოვიდა. ესტაფეტა დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს, საგარეჯოელებმა გადასცეს. ჩირაღდანი ჯერ მსოფლიო ჩემპიონმა არსენ ყარაგვეზაშვილმა წამოიღო, ბოლოს კი ასევე მსოფლიო ჩემპიონს ხვიჩა ქოქუაშვილს გადასცა. ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლას, დედოფლისწყაროში, საზეიმო კონცერტით დახვდნენ, სადაც ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ამასთან, დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა წარმატებულ სპორტსმენებს დიპლომები გადასცა.

● არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება შეფასდეს ის, რომ წელს ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებით, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ევროპული დიპლომი გადაეცა. ევროპის საბჭოს განათლებაზე, კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობასა და გარემოს დაცვაზე მომხსენებლი ჯგუფის მიერ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ევროპული დიპლომის გადაცემის შესახებ. მსგავსი დიპლომი 5 წლის ვადით გადაეცემა ევროპაში დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც გამოირჩევიან სამეცნიერო, კულტურული ან ესთეტიკური ღირებულებების თვალსაზრისით და წარმოადგენენ ბუნების საუკეთესო კონსერვაციის მაგალითს.

ევროპული დიპლომი, ევროპული გამოცდილების მიღებასთან ერთად, ხელს შეუწყობს საქართველოში ნაკრძალების დაცულობის ხარისხის მატებას, მათ საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და პოპულარიზაციას. ევროკავშირის ექსპერტებმა შეისწავლეს ვაშლოვანის ტერიტორია. მათი ანგარიშის მიხედვით, იგეგმება პროექტი, რომელიც გულისხმობს საძოვრების მართვის გეგმის შემუშავებას, რათა არ მოხდეს დაცული ტერიტორიების გაუდაბნოება. ევროპული დიპლომი ევროპული ქვეყნების სულ 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული.

ევროპული დიპლომი დედოფლისწყაროში მყოფ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, გიგლა აგულაშვილს ევროპის საბჭოს დემოკრატიული ინიციატივების დეპარტამენტის თავმჯდომარე ელადიო ფერნანდეს-გალიანომ გადასცა.

იმავე დღეს, ევრო დიპლომის გადაცემის ცერემონიასთან დაკავშირებით, გარემოს გლობალური ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „კოლხური ხოხბის აღდგენა ბუნებრივ ჰაბიტატებში“ - ფარგლებში, ფრინველსაშენში გაზრდილი ხოხბები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გაუშვეს. პროექტი 2014-2015 წლებში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში აშენდა ინკუბატორის შენობა, რომელიც ავტონომიური მზის ელექტროსისტემით აღიჭურვა, ტყვეობაში გამრავლდა 300-მდე ხოხობი, რომელიც სამ სამონადირეო მეურნეობას და რამოდენიმე ოჯახს გაუნაწილდა. თავის მხრივ მეორე წელს, ბენეფიციარების მიერ ტყვეობაში 200-მდე კოლხური ხოხობი იქნა გამრავლებული, მათი უმრავლესობა (150) ივრის, ალაზნისა და მტკვრის ჭალებში გაუშვეს. ხოლო, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, მეგობართა ასოციაციის კოლხური ხოხბის საშენის მიმდებარე ტერიტორიაზე 2014 — 2015 წლებში 25 ხოხობი გაუშვეს, მათზე დაწესებულია მონიტორინგი თანამედროვე ტექნოლოგიების (ტელემეტრის) გამოყენებით. ღონისძიებას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ევროპული დიპლომი საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

● ადგილობრივებს დიდხანს ემახსოვრებათ კიდევ ერთი ლამაზი დღე, როცა მსოფლიო მნიშვნელობის საოპერო მომღერალს, ცნობილ ბარიტონს მშობლიურ დედოფლისწყაროში შეხვედრა მოუწყეს. ლადო ათანელის შემოქმედებითი საღამო ხელოვნების სკოლის ინიციატივით ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, მსმენელი ათანელს განაბული უსმენდა. ემოციური იყო, როგორც ლადო ათანელის სიტყვით გამოსვლა, ასევე მისი საკონცერტო ნომრები. ისტორიას დარჩება ვიდეოკადრები, როდესაც მომღერალმა მისი მამის აუდიოჩანაწერის მოსმენისას რამდენიმე წუთის განმავლობაში სცენაზე ცრემლი ვერ შეიკავა. მომღერალი, ასევე, არ მალავდა, რომ მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზეც არ მიუღია ამდენი ემოცია. შეგახსენებთ, 2014 წელს ლადო ათანელს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. მსოფლიო ბარიტონი ლადო ათანელი დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში დაიბადა და გაიზარდა.

ილია მარტყოფლიშვილი

თოვლის პაპა პირველ საჯარო სკოლაშიც მოვიდა!

საახალწლო ზეიმი ჩაატარა თავისი აღსაზრდელებისთვის დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მეორე ბ კლასის პედაგოგმა მარინა ინასარიძემ. მან თავისი აღსაზრდელი ბავშვების და მშობლების დახმარებით საკლასო ოთახი საზეიმოდ მორთო და თოვლის პაპის მოლოდინში ბავშვებს ლექსების თქმასა და ცეკვაში გაატარებინა დრო. მეორე კლასის მოსწავლეებმა კახაბერ პოპიაშვილმა და საბა უზუნაშვილმა „მთიულური“ „ცეცხლი” დაანთეს კლასში. გურამ გოგაშვილისთვის პედაგოგის სიურპრიზი აღმოჩნდა მოულოდნელად ქართული ცეკვის შესრულება, რომელიც მას სამ გოგონასთან ანანო ბიძინაშვილთან, ანა ჩიტიშვილთან და ნანუკა პავლიაშვილთან ერთად მოუწია. ლამაზი სანახავი გახლდათ ლუკა მენთეშაშვილის, ნიკოლოზ რობიტაშვილის და ნინო ალუღიშვილის მიერ შესრულებული ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „დაისი“ და ბიჭებისა და გოგონების „აჭარული”. ნიკოლოზ სეფიაშვილმა ბანი მეგობრებმაც მისცეს ვიოლინოზე შესრულებული ეტიუდით დაატკბო მსმენელი. ხოლო ნიკოლოზ გველუკაშვილის სოლო „ალილო“. მარინე მასწავლებელი ბედნირი სახით შეჰყურებდა თავის აღსაზრდელებს, რომლებსაც საუკეთესო სწავლასთან ერთად საკარნავალო ნიჭიც დაჰყვათ თან. ერთმანეთზე უკეთესად ამბობდნენ ლექსებს გიორგი ღვედაშვილი, გიორგი ქადაგიშვილი, ლაშა ჭუბაბრია, ანა ბარნაშევსკი, თათია და გვანცა ბოჭორიშვილები, მარი ტოკლიკიშვილი, ზუკა ძნელაშვილი, ანა

გოგიაშვილი, ნუგზარ პოპიაშვილი და გიორგი ჯამასპიშვილი. მალე თოვლის პაპაც გამოჩნდა ხურჯინით დატვირთული და ბავშვებს საჩუქრები გადასცა, თოვლის პაპის საუბარმა და მასთან ერთად ცეკვამ კიდევ უფრო გაამხიარულა პატარები, პედაგოგმა მარინე ინასარიძემ მოაწყო რამდენიმე შეჯიბრი, რომლის შედეგადაც გამარჯვებული გამოვლინდა. ღონისძიება გახლდათ თემატურად დატვირთული, მაგრამ სახალისო და საახალწლო განწყობით სავსე. ამით პედაგოგი ბავშვებს დაემშვიდობა და დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

ლალი მეხრიშვილი

საახალწლო კარნავალი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში

მიმდინარე კვირა მთელი ქვეყნის მასშტაბით თემატურად საახალწლო ზეიმებითაა დატვირთული. ანალოგიური ღონისძიებები მიმდინარეობს ჩვენს რაიონშიც. ამჯერად „შირაქი” რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართულ მორიგ საკარნავალო დღეებს ესწრება. ერთ-ერთი ასეთი დღე ამ სამსახურის სამმა პედაგოგმა ინგლისური ენის მასწავლებელმა დონარა ჯალიაშვილმა, ქართული ენის პედაგოგმა ნინო სიფრაშვილმა და რუსული ენის პედაგოგმა მია გაგნიაშვილმა გამართეს. აღსანიშნავია, რომ რუსული ენის წრე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, წელს პირველად აღდგა და აღნიშნულ ჯგუფს საკმაოდ მაღალი მოსწრება აქვს. ღონისძიებას მოსწავლეთა მშობლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები და მათი დირექტორი ირმა ბენაშვილი ესწრებოდნენ. აქვე გამოფენილი გახლდათ ბისერების და გობელენების საკმაოდ საინტერესო კოლექცია, რომელსაც მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გამოცდილი სპეციალისტი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლია ნატროშვილი ასწავლის. გამოფენის პარალელურად დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი. პედაგოგ ნინო სიფრაშვილის ბავშვებმა მსოფლიო ქვეყნების ახალი წლები დაახასიათეს და აღწერეს, თუ რომელ ქვეყანაში როგორ ხვდებიან ახალ წელს. მისივე აღსაზრდელებმა ზღაპრის რამდენიმე გმირი გააცოცხლეს და სცენაზე ნაცარქექია, ბურატინო, წითლქუდა და მერი პოპინსი გამოიყვანეს. საინტერესო გამოსვლა ჰქონდათ მაია გაგნიაშვილის რუსული ენის წრის ბავშვებს, მათ სანტაკლაუსის წითელი ფორმები ეცვათ. მათ რუსულად შესრულებული საახალწლო სიმღერის ფონზე ძალიან ლამაზი ცეკვით გახსნეს კონცერტი. შემდეგ კი, წარმოთქვეს ლექსები. მათივე თოვლის პაპა და გაახალისა ბავშვები. ინგლისური ენის წრის ბავშვებმა არ გაუცრუეს იმედი თავის პედაგოგს დონარა ჯალიაშვილს და ლამაზ კაბებში გამოწყობლებმა მშვენივრად წარმოთქვეს საახალწლო ლექსები ინგლისურად. ღონისძიება საახალწლო საჩუქრების მიღებით დასრულდა, რომელიც მათ თოვლის პაპამ დაურიგათ. მთლიანობაში საახალწლო ზეიმით კმაყოფილები დარჩნენ როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები და პედაგოგები. ამ კეთილგანწყობაზე მეტყველებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ ზეიმის დასრულების შემდეგ, ბავშვებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დატოვება არ სურდათ, ისინი დიდხანს შემორჩნენ საკონცერტო დარბაზს და ნაძვის ხის გარშემო თავის ემოციებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

ლალი მეხრიშვილი

ხარლამპი კანიდი

ჩვენი „ხედე“ - ანუ ხარლამპი დიმიტრის ძე კანიდი 25 დეკემბერს 85 წლის გახდებოდა.

ჩვენ- მის კოლეგებს, აღზრდილებს არ დაგვიწყებია მისი არც მასწავლებლობის და არც დირექტორობის პერიოდი, რადგან ჭირშიც და ლხინშიც ჩვენთან იყო. ყველას გასაჭირი იცოდა. ნებისმიერ ადამიანთან მივიდოდა თხოვნით, ოღონდ-სხვისთვის.

მისთვის პირადულზე მაღლა სამსახური იყო. გაკვეთილების ხარჯზე სხვა საქმეს არ გააკეთებდა. მოსაგონარი ძალიან ბევრია.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები თავს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე.

გახსენება

გელა გიგაშვილი

8 იანვარი შენი დაბადების დღეა. 43 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო გელა. 4 წელია, უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. მოვდივართ შენს საფლავზე, ცრემლით გისველებთ საფლავს და გინთებთ სანთელს.

ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო და მონატრებავ. 2012 ნლის 12 დეკემბერს უფალმა სასუფეველში გიხმო, წახვედი და დაგვიტოვე ცრემლი და მონატრება. ქვეყნად არაფერი ყოფილა სიკვდილზე უფრო საშინელი და მონატრებაზე უფრო გაუსაძლისი. დრო გადის, მაგრამ სევდასა და ტკივლს არაფერი ცვლის. ვებრძვით ამ ტკივილს და თავს ვიიმედებთ, რომ იმქვეყნად წასვლა, ისევე როგორც ადამიანის დაბადება, მხოლოდ უფლის ნებაა.

შენ ხომ უზომოდ პატიოსანი და მშრომელი იყავი, ოჯახისა და მეგობრების მოყვარული. შენ მოგიკვდეს დედა, ჩემო გელა. როგორ მინდა გულში ჩაგიკრა, მოგეფერო. შენი სითბო ვიგრძნო და სიყვარული გამოვხატო. მინდა თვალები ჩაგიკოცნო. უზომოდ მენატრები, შვილო, ჩემო დიდო სიყვარულო. ხშირად გინთებ სანთელს, რომ ზეციურ სასუფეველში გზა გაგინათო. სანამ ცოცხალი ვარ, სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებ, შვილო.

გამწარებული დედის გულს დრო ვერ კურნავს, ჟამთა სვლა არაფრის მკურნალი არ არის. რაც დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობ უშენობას, სიცარიელეს და მონატრებას. მშვიდად განისვენე, შვილო.

დედა: ციცო მესტიაშვილი

ვაჟა ბოსტაშვილი

რა გახარებული იქნებოდი 1 იანვარს შენს დაბადების დღეზე, როცა შეგისრულდებოდა 60 წელი. შენ ხომ პატარა ბავშვივით გიხაროდა ეს დღე. ჩვენთვის მტკივნეულია და ზოგიერთებისთვის შეიძლება სასიხარულო თარიღიც იყოს. ჩვენ, შენი ოჯახის წევრები, ვიხსენებთ შენს განვლილ წლებს და გულისტკივილით ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ჩვენ დაგვრჩა შენზე მოგონებები, ცრემლი და მწუხარება. ორი წელია, უშენოდ ვხვდებით დაბადების დღეს და ახალ წელს. რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდებით, თუ როგორ ავსებდი ყოფას შენი არსებობით. შენი შვილიშვილები ლუკა და ელენა ყოველთვის უცინიან შენს სურათს და ამით გამოხატავენ შენდამი სიყვარულს.

გვწამს, მარადიულ ნათელში განისვენებს შენი სული და იმქვეყნიური სამყოფელიდან ჩვეული მზრუნველობით მფარველობ შენს საყვარელ ოჯახს. მარად იქნები ჩვენთან კეთილი გულისა და ლამაზი სულის ადამიანი. ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან , ავანთებთ სანთლებს და უფალს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და გინათებდეს გზას სამარადისო სასუფევლისკენ.

შენი ოჯახი.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ვიოლეტა დავთიანს და მის ოჯახს ძმის

ვალერის გარდაცვალების

გამო.



წლის მოვლენა

18 დეკემბერს საქართველოს მოქალაქეებმა შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლაზე პრინციპული თანხმობა მიიღეს და, შესაბამისად, ეს იქცა არა მარტო წლის, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად. ევროკომისიის თანახმად, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებები შეასრულა და ახლა ჯერი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე მიდგა, რათა მათ საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შემოიღონ. გავრცელებული ცნობით, ევროკომისია 2016 წლის დასაწყისში წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ. პროცედურები, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეს გასტანს და საქართველოს მთავრობაში იმედოვნებენ, რომ 2016 წლის შუა პერიოდისათვის ევროპასთან უვიზო მიმოსვლა უკვე დიდი ხნით ნანატრ რეალობად იქცევა.

ამ დასკვნის გასაჯაროებამდე ერთი დღით ადრე კი საქართველომ უვიზო მიმოსვლის შეთავაზება მიიღო რუსეთის პრეზიდენტისგან. 17 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმოს. პასუხად კი საქართველოდან ითქვა, რომ საკითხის დღის წესრიგში დაყენებას რამდენიმე პირობის შესრულება სჭირდება. კერძოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა:

"ეს დაკავშირებულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან, სუვერენიტეტის პრინციპებთან და სანამ არ მოხდება სერიოზული გარღვევა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დადგება".

23 დეკემბრიდან რუსეთის ფედერაცია ამარტივებს ვიზების გაცემის პროცედურას საქართველოს მოქალაქეებისთვის - ინფორმაცია ამის თაობაზე 22 დეკემბერს საღამოს გაავრცელა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. უწყება არ გამორიცხავს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობათა გაუმჯობესების პროცესი ვიზების საერთოდ გაუქმებამდეც მივიდეს, თუმცა ფაქტია, რომ მოსკოვი ამ ეტაპზე არ უუქმებს ვიზებს საქართველოს მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ ასეთი ნაბიჯის გადადგმის მზადყოფნაზე ილაპარაკა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. რა მიზნები ამოძრავებს მოსკოვს და რა შეიძლება მოითხოვოს მან საქართველოსგან სავიზო კომპრომისის სანაცვლოდ?

მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის საგარეო უწყება „ურთიერთობათა ნორმალიზების" კონტექსტში განიხილავს და, როგორც ოფიციალურ ვებსაიტზე სამშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავს, „დადებითი ურთიერთობების სტიმულირების ინტერესებიდან გამომდინარე", მზად არის სავიზო რეჟიმის გამარტივებული წესი ოთხშაბათიდან აამოქმედოს:

„2015 წლის 23 დეკემბრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის გაფორმდება მრავალჯერადი საქმიანი, სამუშაო, სასწავლო და ჰუმანიტარული ვიზები და ასევე კერძო ვიზები, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ნათესაური კავშირი მომწვევ და მოწვეულ პირებს შორის მოქმედი მოწვევის ფარგლებში, რომელიც გაიცემა, დადგენილი წესის თანახმად, რუსეთის ფედერალური სამიგრაციო სამსახურის ორგანოების მიერ".

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებული ამავე განცხადების თანახმად, რუსეთის მხარე მოწადინებულია მომავალშიც გადადგას ნაბიჯები ორი ქვეყნის მოქალაქეების ურთიერთობის პირობების გამარტივებისკენ და სამომავლოდ, „ურთიერთშეთანხმების საფუძველზე", არც უვიზო რეჟიმის შემოღებას გამორიცხავს.

ზურაბ აბაშიძის განმარტებით, სავიზო რეჟიმის ბარიერების გამარტივების პერსპექტივებს სწორედ პრაღის ფორმატის ფარგლებში ჩაეყარა საფუძველი, საკითხზე თანმიმდევრული მუშაობა მიმდინარეობდა და ახლა საქართველო მოსალოდნელ შედეგებს იღებს. თუმცა უდავოა, რომ მეტის, ანუ სავიზო რეჟიმის გაუქმების, მოლოდინი გააჩინა და გააძაფრა რუსეთის პრეზიდენტის განმარტებებმა 17 დეკემბერს გამართულ ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მზად ვართ სავიზო რეჟიმი გავაუქმოთ", - გარკვეევით თქვა ვლადიმერ პუტინმა და ბევრ ექსპერტს მაშინვე შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო მოსკოვის რეაქცია ბრიუსელის მიერ გადადგმული ნაბიჯების კვალდაკვალ. მათთვის ნათელი იყო, რომ მოსკოვის გააქტიურება დროში დაემთხვა ევროკომისიის საბოლოო დადებით ანგარიშს, რომლის საფუძველზეც, საქართველოს მოქალაქეები, დიდი ალბათობით, რამდენიმე თვეში შეძლებენ უვიზოდ შენგენის ზონის ქვეყნებში.

კავკასიოლოგი ალეკო კვახაძე ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც ამ ეტაპზე არ მოელოდა, რომ რუსეთი ვიზებს გაუუქმებდა საქართველოს მოქალაქეებს. როგორც მან ჩვენთან საუბრისას განმარტა, პუტინი იმ დღეს არასასიამოვნო მოლოდინმა აამოქმედა:

„პუტინმა დაინახა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ევროპა მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას და გაადვილდებოდა ევროპაში საქართველოს მოქალაქეების მიმოსვლა, ეს შეამცირებდა რუსეთის ზეგავლენას საქართველოს მოქალაქეებზე, დაინგრეოდა მითი ე. წ. 37-მანეთიანი ბილეთის შესახებ და ხალხი ნახავდა, ბუნებრივია, რომ ბრიუსელსა და პარიზში უფრო კარგი ცხოვრებაა, ვიდრე ვორონეჟსა და სარატოვში... ასევე შესაძლოა უკუპროცესები ნავიდეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში და, როგორც ახლა ჩამოდიან სამკურნალოდ, ისევე ჩამოვლენ აქ, რომ აიღონ ან ქართული პასპორტი, ან ნეიტრალური პასპორტი, რათა იმგზავრონ ევროპაში და უფრო დაუახლოვდნენ ევროპას. პრაგმატული თვალსაზრისიდან გამომდინარე, მათთვის ეს უფრო მომგებიანი იქნება, მიუხედავად მათი სეპარატისტული განწყობებისა".

თუკი ზურაბ აბაშიძეს შევეკითხებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების ან გამარტივების შემთხვევაში, რუსეთი სანაცვლოდ ვერაფერს მოითხოვს, რადგანაც საქართველომ ასეთი ნაბიჯი კარგა ხნის ნინ გადადგა და რუსეთის მოქალაქეებს ახლა უკვე ერთი წლით შეუძლიათ უვიზოდ დარჩენა საქართველოს ტერიტორიაზე. „მეტი აღარ არსებობს. ამის იქით აღარ არის არაფერი", - თქვა ზურაბ აბაშიძემ.

თუმცა ექსპერტების ერთი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ თუკი რუსეთი სავიზო რეჟიმს გაუუქმებს საქართველოს მოქალაქეებს, ეს არ იქნება ჰუმანიტარული მიზნებით ნაკარნახევი უანგარო გადაწყვეტილება. რუსეთის ბოლოდროინდელ სვლებს ევროკავშირთან კონკურენციის სურვილით ხსნის საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი ფორჩხიძე, თუმცა ის საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც, რომ, ცხადია, აქ ჯანსაღი კონკურენცია არ იგულისხმება და რომ რუსეთს, სინამდვილეში, საქართველოზე მეტი გავლენის მოპოვების სურვილი ამოძრავებს:

„ისინი ცდილობენ, რომ რუსულ სივრცეს მიაბან საქართველო სხვადასხვა მიმართულებით, ანუ ეს რბილი ძალის ერთ-ერთი გამოვლინებაა. რა თქმა უნდა, რუსეთი ყოველთვის ცდილობს იყოს „დიდი ძმა", ხოლო დანარჩენები უნდა იყვნენ მისი ნების შესაბამისი აქტორები. შესაბამისად, ერთი, რომ რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები არ იქნება სტაბილურობის განცდის მომცემი და, მეორე, ის ამას ყოველთვის გამოიყენებს ზეწოლის ბერკეტად".

ირაკლი ფორჩხიძის თქმით, რაც უფრო მეტად მიებმება საქართველო რუსეთს სხვადასხვა მიმართულებით და, მათ შორის, მის სამომხმარებლო ბაზარს, მით უფრო მტკივნეული იქნება სამომავლოდ რუსეთის მიერ სადამსჯელო ბერკეტების ამოქმედება.

ვიზალიბერალიზაცია და საქართველო

„ბატონებო, ამ ბიჭს აკადემია აქვს დამთავრებული, ერთხელ შეცდა, იქურდა, აპატიეთ"-ასე იწყებდა ენის უცოდინარ თანამემამულეთა გამართლებას ქართველი ჟურნალისტი, რომელიც ევროპაში სასწავლებლად და სამუშაოდ წავიდა. მას შემდეგ, ქართველ დამნაშავეებთან კომუნიკაციისთვის „გამოძახებულ" ჟურნალისტს გერმანელი პოლიციელები შემდეგი სიტყვებით ეგებებოდნენ: „აბა, რას გვეტყვი, ამას რომელი უნივერსიტეტი ან აკადემია აქვს დამთავრებული?"

მსგავსი ფაქტები გერმანიაში, და არა მარტო იქ, ჯერ კიდევ 15-20 წლის წინ ხდებოდა. სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან დასაქმების მიზნით წასულმა ადამიანებმა ცხოვრების იოლი გზა აირჩიეს და თავს ქურდობით ირჩენდნენ. ქართველთა იმიჯიც შესაბამისად ჩამოყალიბდა: „არ მოიპაროთ"-ასეთ წარწერას მრავლად ნახავთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში. ვიზალიბერალიზაციის და ევროპასთან ინტეგრაციის რეალურმა შანსმა გამახსენა ეს ტრაგიკომიკური ამბავი. ესაა ქართული ყოფის დრამა, რომელმაც მთელი ერი მოიცვა. სამწუხაროდ, ამას ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ. იოლი ფულის შოვნით მიღებულმა სიამოვნებამ ისე დაგვაბრმავა, რომ ისიც კი დაგვავიწყდა, თავის დროზე რატომ ეწოდა ჩვენს ქვეყანას „გეორგია"-მინათმოქმედთა ქვეყანა. დიახ, ჩვენ გვაქვს ნაყოფიერი მიწა, რომელსაც ისევე ვეღარ ვუვლით, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანას, ისევე ვეღარ უვლიან ქართველი მამაკაცები, როგორც თავიანთი ოჯახის მანდილოსნებს. ასე რომ არ იყოს, ოჯახის მარჩენალის ფუნქციას მათ არ დააკისრებდნენ და შვილებს დედების გარეშე გასაზრდელად არ გაიმეტებდნენ...

ბევრი ალბათ შემეკამათება და მეტყვის, რომ ეს ყველაფერი თანამედროვე ყოფითაა განპირობებული, რომ ჩვენი ქვეყანა ვეღარ უვლის სათანადოდ თავის მოქალაქეებს და ერთადერთ გამოსავლად ქვეყნიდან გაქცევა რჩება. გეთანხმებით, ეს სიმართლეა, მაგრამ ვცოდავთ თუ არა ყველანი ქვეყნის წინაშე, როცა ქუჩებში ნაგავს ვყრით, და ამით ყველა უცხოელს ვუქმნით შთაბეჭდილებას, რომ საქართველო სათანადოდ არ გვიყვარს. გაინტერესებთ, როგორ უვლიან ევროპაში ქუჩებს, რომელიც კონკრეტულად არავის ეკუთვნის, მაგრამ ყველა თვლის, რომ მათია? ზამთარში, როდესაც ღამით მოსული თოვლი ქუჩის პირეზზე ყვავილნარს გაყინავს, მოქალაქეები ახალ, ქოთანში გამოყვანილ აყვავებულ ყვავილებს ყიდულობენ და გაყინული ყვავილების ადგილას რგავენ... აღარ შევჩერდები იმაზე, რომ კანონისადმი მორჩილება მათი ცხოვრების წესია, რომ იქ მინისტრიც და რიგითი მოქალაქეც კანონის წინაშე თანასწორნი არიან...

სამაგიეროდ კი თავიანთი ქვეყნის კანონების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ და უკმაყოფილებას საპროტესტო აქციებითაც გამოხატავენ. ამის წყალობითაა სწორედ, რომ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს არ ეშინია ხვალინდელი დღის, არ ეშინია ქუჩაში ლუკმა-პურის გარეშე დარჩენის, რადგან იცის, ნებისმიერ სიტუაციაში მას სახელმწიფო დაიცავს, თავშესაფარსაც მისცემს და ე.წ. „ჯიბის ფულითაც" უზრუნველყოფს....

ევროპელების შრომისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია-ისინი ცხოვრობენ იმისთვის, რომ იმუშაონ, სამაგიეროდ ტკბილი სიბერე აქვთ გარანტირებული...მათ გაცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და თამამები არიან, როდესაც სახელმწიფოსგან ითხოვენ სოციალურ დაცვას...

კარგი იქნება, თუკი ევროპული ღირებულებები ჩვენშიც შემოვა და ორმხრივი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მოქალაქესთან მიმართებაში საქართველოშიც დამკვიდრდება. მაშინ აღარავის შეეშინდება ხვალინდელი დღის და აღარავის ექნება დაუცველობის შეგრძნება.

მანამდე კი ცოტათი მაინც ჩვენც უნდა შევიცვალოთ და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულება ვისწავლოთ, მეტად კანონმორჩილნი გავხდეთ, მეტად შევიყვაროთ ერთმანეთი და ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე, რათა სამომავლოდ მანაც შეძლოს ჩვენი მოვლა...

ევროკავშირის ფერებში განათებული საქართველოს დედაქალაქი და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია-ევროკავშირის ჰიმნი-ვიზალიბერალიზაციის მიღების სურვილით გამოხატული განწყობა. მინდა, რომ ეს განწყობა არ გაფერმკრთალდეს, მინდა, რომ ერთ-ერთი ქართველი დიპლომატის და ჩვენი ღირსეული წინაპრის სულხან -საბა ორბელიანის საუკუნეების წინანდელი მცდელობა ახლა მაინც იქცეს რეალობად...

ინგა შიოლაშვილი

ულოცავენ!

ქრისტინე ბოსტაშვილს!

დედა, გილოცავთ დაბადების 85 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს შენი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების საიმედოდ. იცოცხლე დიდხანს, რომ არ მოიშალოს ჩვენი მშობლიური კერა, ოჯახი, სადაც ჩვენ ყველას გვიხარია მოსვლა.

ღმერთი იყოს შენი მრავალრიცხოვანი ოჯახის მფარველი.

შვილები: თამრიკო, ნათელა, გია ბოსტაშვილები ოჯახებით.

იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯით, სარემონტო, წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. აქვს საგარაჟე ადგილი. მისამართი: ჰერეთის ქუჩა 2ª, კორპ.N47, ბინა 30. მსურველებმა დარეკეთ: 577 381 292

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 28.12		სამშაბათი 29.12		ოთხშაბათი 30.12		ხუთშაბათი 31.12		პარასკევი 01.01		შაბათი 02.01		კვირა 03.01	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	4°	2°	1°	-1°	3°	1°	-1°	-2°	-1°	-4°	-7°	-8°	-6°	-7°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.